№ 88 აპრილი 27, პარასკევი 1890 აპრილი 27, პარასკევი № 88

ივერია

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1890 1877—1890

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართება

ქუთაისში

კერძო სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი მოსულთა ავადმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით. ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავადმყოფობისათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. გავსეევი. საბებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კვიხელი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეტი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაური. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. თოფურია

(6—5)

რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ლატერია-ალეგრისათვის,

ვთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდა პირ თ. გრუზინსკისეულის სახლებში).

ქუთაისის საქალაქო გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ „12“-ს მაისს დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით იქმნას გაცემული შემოსავალი ქუთაისის ხიდებისა. ვადა იჯარისა ოთხი წელიწადია. ვაჭრობაზედ თვით გამგეობა დაესწრება.

ვისაც ჰსურს აიღოს იჯარა, უნდა წინად ანუ ბედ წარმოადგინოს ხუთასი მანათი ფული ან ბანკის ბილეთები.

ვაჭრობა სიტყვიერად იქმნება. შეიძლება აგრეთვე მსურველმა თავისი პირობა დაბეჭდილის წიგნით წარმოადგინოს; ვაჭრობა დაიწყება შუა დღისას 12 საათზედ და 2 საათზედ გათავდება. გამგეობის პირობა შეიძლება მსურველმა შეიტყოს თვით გამგეობაში ყოველდღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—2)

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ გუბერნიის მარშალმა პეტერბურგის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის გამგებელისაგან მიიღო წინადადება, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა კრებამ ამოირჩიოს ტფილისის სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებისათვის ორი დირექტორი [illegible] ამ დირექტორებისათ. ბ-ნს გუბერნიის მარშალს ნებართვა აუღია მთავრობისაგან, რომ ამ არჩევანებისათვის საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა მოხდეს და ეს კრება დანიშნულია 3 მაისსა ამ 1890 წელს.

⁂ გუშინ, 26 აპრილს, მისმა უმაღლესობამ იტალიის მემკვიდრე პრინცმა ვიქტორ-ემანუილ ნეაპოლიტანელმა დილით მოიარა სასახლის ქუჩის ზოგიერთი მაღაზია, სხვათა შორის გაჯიევის მაღაზიაში მისმა უმაღლესობამ იყიდა ძვირფასი სპარსეთის ხალები და ხალიჩები სამას თუმნამდე, შემდეგ ბორისოვის მაღაზიაში იყიდა სხვა-და-სხვა სამუსიკო იარაღი, მაგალითებრ, თარი, ჭიანური, დიპლიპიტო და სხვ. 12 საათზე პრინცმა ისაუზმა სასახლეში და შემდეგ წაბრძანდა ტფილისის პირველს კლასიკურს გიმნაზიაში, სადაც მის უმაღლესობის მიბრძანების გამო კონცერტი იყო. სასახლიდგან გიმნაზიამდე დიდ-ძალი ხალხი იდგა. თვით გიმნაზია მშვენიერად იყო მორთული ბაირაღებითა და ეზოში ორივ მხარეს გამწკრივებულნი იდგნენ ამავე გიმნაზიის მოწაფენი თავიანთ დროშებით. მის უმაღლესობას ამ დღეს იტალიის საერო მუნდირი ეცვა და შემოტყმული ჰქონდა ხმალი. პრინცსთან ახლდა კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი და თავისი ამალა. მის უმაღლესობას გიმნაზიის ეზოს კარებში დაუხვდნენ გიმნაზიის მასწავლებელნი კავკასიის ოლქის მზრუნველის ტაინი სოვეტნიკის იანოვსკის [illegible] მისი უმაღლესობა, გიმნაზიაში შეგირდების მუსიკამ იტალიის მარში დაუკრა. აქედგან პრინცი მიბრძანდა გიმნაზიის სააქტო დარბაზში, რომელიც მშვენიერად მორთული იყო ბაირაღებითა და ყვავილებით. აქ გიმნაზიის მოწაფეთ დაუკრეს და იმღერეს რამდენიმე სამუსიკო ნომერი, რომლის შემდეგაც მისმა უმაღლესობამ მადლობა გადაუხადა შეგირდებს და მუსიკის მასწავლებელს ბ-ნ კუნკელს. შემდეგ პრინცმა დაათვალიერა კლასები და წიგნთ-საცავი სადაც გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნმა მარკოვმა მიართვა ალბომი სურათებისა. აქედგან პრინცი მიბრძანდა გიმნაზიის ეზოში, სადაც მისთვის გამართული იყო ფარდული, დ̃ მერე გიმნაზიის მოწაფეთ სხვა-და-სხვა გიმნასტიკა აჩვენეს მუსიკის დაკვრით. ამ დროს ფოტოგრაფმა ერმაკოვმა რამდენიმე სურათი გადაიღო. მისმა უმაღლესობამ მადლობა გადაუხადა მასწავლებლებს და ორ საათზე გაემგზავრა კადეტების კორპუსში, სადაც აგრეთვე დაუხვდნენ ამ სასწავლებლის უფროსნი. აქ მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა საწოლი ოთახები, კლასები, სადაც ამ დროს ეკზამენები იყო, და შემდეგ გავიდა კორპუსის ეზოში, სადაც უყურებდა კადეტების გიმნასტიკას და სხვ. აქედგან მისი უმაღლესობა გაემგზავრა კორპუსის დარბაზში, სადაც ყური დაუგდო მუსიკას, სამს საათზედ გაემგზავრა შტაბში და იქიდგან სიონის ტაძარში, სადაც მის უმაღლესობას დაუხვდა სამღვდელოება ეპისკოპოზის ალექსანდრეს უფროსობით. ტაძარში [illegible]ტი, წმ. ნინოს ვაზის ჯვარი და შემდეგ საკურთხეველში საქართველოს კათოლიკოსთა მიტრები და სხვ. ტაძრიდგან მისი უმაღლესობა მიბრძანდა მუზეუმში, რომელიც სიონის გალავანშია. აქ მისმა უმაღლესობამ დიდი ყურადღება მიაქცია ძველს ქართულს ხელ-ნაწერებს და კითხულობდა,

---

ფელეტონი

დაუსრულებელი ამბავი

ანუ

თელაველი ოტელლო.

დრამა ოთხს მოქმედებად

(შემდეგი*)

გამოსვლა XII

იგინივე, კანო და არტემა გამოდიან შუა კარებიდგან.

არტემა (მიდგება კარებში და კანოს) ამისთანა სანახავი მიყვარს, აი! (ყველას) კამპანიას გაუმარჯოს! (კანოს ხელს ჩამოართმევს თალალასა და სოფოს).

ნუშო. გთხოვთ იცნობდეთ, ჩემი ბიძაშვილი არტემა. (არტემა მივა ხელს ჩამოართმევს თალალასა და სოფოს. სოფო ამპარტავნულად აწვდის ხელს). ერთი თვეა თელავშია და ვერ გაგაცანით; მთელი დღე ბაზარშია, სახლში მარტო პურის საჭმელად შემოდის.

თალალა (არტემას დიდხანს სახეზე უყურებს). ქა! შენ ფრიდონა ლეკდაუთაშვილისა არა ხარ?

ბეგა. ზედ არ ეტყობა—ლეკსა ჰგავს?

არტემა. (დაჯდება სტოლთან) ლეკის სუნი ამდის სწორედ. მამაჩემი ტყვედ რო იყო დიდოებში, ბევრის ხინკალის ჭამისაგან კუჭის ანთება მოუვიდა და ჰკვიან პოლოსას გამოუდგა. მერე იწერება იქიდამ, რომ ამისთანა ცხოვრება სიზრათაც არ მამლანდებიაო: მე, ბალდასარა და ჰკვიან-პოლოსა სულ ერთადა ვართ, მარტო ერთი ტერ ასატურა გვაკლია, რო სამოთხიდამ ყველანი გავრეკოთ და მარტო ჩვენ დავინარჩუნოთო, მაშინ ხო ბალში მუქთად არავის შაუშვებთო!

ბეგა თალალა { ტერ ასატურას რას ემართლები? მღვდელს რა უჭირს?

სოფო. (იქით) გაუზრდელი, ბრიყვი!

ნუშო. მოჰყვა ლაზღანდარობას! (კანო გადის მარჯვნივ, ნუშო უკან გაჰყვება).

არტემა. ტერ-ასატურას იმიტომ ვამბობ, რო მიყვარს, იმის წვერის მზემ, თორე ტერ-კამსარაკანზე უფრო უპრიანი არ არი? ტერ-ასატურას ქადაგება დიდ-მარხვაში სწორედ სულის პოვნაა, არა მაშ? თორე (სოფოს), ქალო, შენ უფრო კარგად მოგეხსენება. ამბობენ, სომხის სკოლის ციური მამაო.

თალალა. როგორ არა! როგორ არა! თავისის სკოლებით ქვეყანა გადაგვირია! ვაჟო, ახლა საყდარში ქადაგებასაც სომხურად გვეუბნებიან. გადაირივნენ, თუ რა ღმერთი გაუწყრათ!

სოფო. (იქით) შეიყვარნენ ერთის ჭკუისანი! (არტემას ამრეზით) ტერ-ასატურა ისეთი პატივსაცემი ღვდელია, რო ერთი იმისი ცალი მთელ თელავში არ მოიძებნება.

არტემა. მაშ, მაშ, მეც იმას არ ვამბობ! თუნდ რო ამ საათში მოკვდეს, პეტრეს იმისთვის ადგილი მზათა აქვს. რო სკუჩნად არ იყოს, ორიორთებსაც დაიბარებს. (იქით) რა კარგი რამ არი ეს დასაქცევი, რო არა ჯავრობდეს! ერთი კავკაური მათუშკა არ შეედრება!

ბეგა. გეყოფა, ბიჭო, მაგისთანები! შენ ის გვიამბე, როდის აპირობ კავკავში წასვლას?

არტემა. (სოფოს მკერდზე უყურებს) ჩემის ანგელოზის სულის მზემ, რომ მე თელავიდგან წამსვლელი არა ვარ! გავაღებ აქ სირაჯის დუქანს და როცა გავმდიდრდები, მაშინ წავალ, პეტრებუხში გავაღებ მაღაზიას. როგორ მოგეწონება, დედი?

თალალა. მერე, შვილო, დიდი თანხა გაქვს დუქნის გასაღებად? არ გაქებენ, მოქეიფე ბიჭია, ფულის ყადრი არ იცისო.

არტემა. თელაველი და უშნო? სად არ არი ჩვენებური კაცი პადვალჩიკი? ყაზლიარი გინდა, მაიკოფი, მაზდოკი, კავკავი, ბათუმი, ეკატერინადარი, გორი, ქალაქი, სიღნაღი, გურჯაანი, პა. ტარძეული, ახმეტა, თიანეთი და სად გინდა, რო არ იყოს? მოსკოვშიაცკი არი ერთი სვიმონიშვილი. რას ამბობ? მაშ! ქეიფიც ვიცით, ფულის მოგებაც! გინდა ეხლავ გამოვიტანო სამასი თუმანი ნაღდი? სამასი თუმანი ქალაქის ბანკში მაქვს, ორასი საპალნე კახური ღვინო ყვარელში! (ადგება, ჩოხას გვერდზე მაიკრეფს და დაჯდება).

თალალა. ყოჩაღ, შვილო! თუმცა მამაშენი ცოტა ფუქსავატი იყო, მაგრამ შენ აჯობე იმას. ის ურჩევნია მამულსა, რო შვილი სჯობდეს მამასაო, ხო გაგიგია? გეტყობა, შვილო, რო ყაირათიანი ხარ! რუსებში კაცი ჰკვასა სწავლობს. თელაველი ვაჟები რომ პატარაობითვე იგზავნებოდნენ კავკავში, თელავი საქართველოში პირველი იქნებოდა ჰკვიანი ბიჭებით.

არტემა. მაშ, მაშ! მერე რუსული ჰკვა რა იაფია, ნამეტან რუსის მათუშკებისა!

სოფო. თქვენ, ყმაწვილო, რუსის ქალები, გეტყობათ, როგორღაც თვალში არ მოგსვლიათ?

არტემა. რას მიბრძანებ, იმათთანა პროსტოი ღვთისნიერი ხალხი ქვეყნიერობაზე იქნება?

სოფო. თქვენ რო ძალიან დასცინით, უთუოდ კარგად განათლებული იქნებით.

არტემა. შე დალოცვილო, ზედ არ მეტყობა? ჩემისთანა ჩუსტები და ქუდი უჩიტელ სოლომანასაც არ ექნება.

სოფო. (იქით) რა ბრიყვია! (არტემას გაჯავრებულის კილოთი) კაცი ტანისამოსით და ფულით არ იცნობა!

არტემა. (იქით) მაშ სოლომანა? (სოფოს) უკაცრავად, რომ სოლომანა ასე ცუდად ვახსენე! მაგრამ განა ან მარტო რუსულშია ჭკვა? ჭკვა თავშია!

თალალა. მართალს ამბობ, ჰკვიანი ბიჭი ხარ.

სოფო. (გაჯავრებით) თავშია! აბა მითხარით, თქვენ თითონ რა გისწავლიათ? სომხური-კი ხეირიანად იცით?

არტემა. სომხურში ხო არ არი ჰკუა და არ არი! ჩოტკი ვიცი, ღვინის ფასები ვიცი, ტარიელის ამბავი სულ მთლად ვიცი, ვარდ-ბულბულიანი ვიცი, გივიშვილი ხო სულ უბეში მაქვს. გინდა გათხუო, გივიშვილისთანა ერთი არ არი დუნიაზე. მერე ჩემისთანა უბრალო მედუქნეა, აი!

სოფო. ძალიან ბევრი გცოდნია. მაშ შენ რითა ხარ სომეხი?

არტემა. ნუ მაკვირვებ, ქალო! აი, ღვთეების მადლმა, სომეხი ვარ! (სო-

---

*) იხ. „ივერია“ № 86 და 87.

სად უპოვნიათ ეს ხელ-ნაწერები, ან რითა სჩანს ამ ნაშთების სიძველე და ის, თუ რომელის საუკუნესიაო. ამას გარდა აქ მისმა უმაღლესობამ გასინჯა ძველი შესამოსავები, მიტრა, ძველი ქართული ფული, ძველი ჯვრები, თოფები და მრავ. სხვა. შემდეგ პრინცმა ემანუილმა მადლობა გადაუხადა მის ყოვლად უსამღვდელლოესობას და მეხუთე საათზე მუზეუმიდგან გაემგზავრა სასახლეში. სადილად მისი უმაღლესობა გუშინ, საღამოს 7 საათზე, მიწვეული იყო ბ-ნ ტფილისის გუბერნატორ თავ. გ. დ. შერემეტიევთან.

⁂ ჩვენ მივიღეთ 23 მანათი ნახჩევნიდამ წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ და გადავეცით დანიშნულებისამებრ.

⁂ ტყიბულის სადგურიდგან მოგვივიდა 23 მან. და 7 კაპ. განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. იყო დღემდე 623 მან. გახდა 6[illegible] მან. 7 კაპ.
646

⁂ ნიკოლაევის ქალაქიდგან მოგვივიდა 1 მან. იმავე ფონდის სასარგებლოდ ბ-ნ დათეშიძისაგან. ამიანად შესდგა 647 მან. 7 კაპ.

⁂ 6 მაისს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აპირობს გამართოს წარსულ წელთა მაგალითისამებრ სეირნობა და ლატარია-ალეგრი. ეს სეირნობა აქამდე იმართებოდა ხოლმე მუშტაიდში, ახლა-კი საზოგადოებას, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, გადაუწყვეტია, რომ ქარვასლასა და ბაღში. ყველა გალერეია, ბაღი, თეატრის დარბაზი სულ მოსეირნეთათვის იქნება დაცლილი. გალერეიები და თეატრის დარბაზი ელექტრონით იქნება განათებული, ხოლო ბაღი-კი გაჩირაღდნებული.

⁂ დღეს უკვე 18 კაცია იმ ამხანაგობაში, რომელმაც დაიწყო მოქმედება ორშაბათიდგან და რომელსაც ეწოდება სახელად: „ამხანაგობა ქართულის წიგნების ბეჭდვისა“. ამხანაგობის გამგე უკვე არჩეულია. არჩეულნი არიან აგრეთვე მდივანი, ხაზინადარი და წევრნი სარედაქციო კომისიისა. სარედაქციო კომისია, როგორც შევიტყვეთ, უკვე აპირობს პირველი დასაბეჭდი წიგნი ამოირჩიოს და შეუდგეს საქმეს. ამხანაგად ჩაწერის მსურველი, როგორც იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, იხდის 50 მან. წილის ფულს ნაწილ-ნაწილ. ამხანაგობას იმედი აქვს, რომ მალე ამხანაგთა რიცხვი ასამდე ავა და შეძლება იმდენი ექმნება, რომ დიდის წიგნების ბეჭდვასაც შეიძლებს.

⁂ შაბათს, 12 აპრილს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ ხელახლად გაასამართლა ქუთაისის გუბერნიის აზნაური მანუჩარ გაბუნია, რომელსაც თავის დაზღვეულ ქონების დაწვა ჰბრალდებოდა კუკიაში, კოჩუბეის ქუჩაზე, და ოლქის სასამართლომ რვა წლით კატორგა გადაუწყვიტა. ბრალდებულს ოპოჩინინი იცავდა. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და განათავისუფლა ბრალდებული გაბუნია.

⁂ ე. როსსის წარმოდგენებზედ აბონემენტის გაყიდვა მხოლოდ ხუთს მაისამდის იქნება და შემდეგ-კი თითეულ წარმოდგენის ბილეთები ცალკ ცალკე გაიყიდება.

⁂ იმერეთი: ვისაც მცირეოდენი ყურადღება მიუქცევია სოფლად გლეხების თვით-მართველობისათვის, უეჭველია შენიშნავდა, რომ ერის გაუნათლებლობისა გამო ამ გვარ თვით-მა[illegible] აქვს. საზოგადოდ სოფელში იშვიათია ისეთი კაცი სოფლის მოხელეთა შორის, რომელსაც სიკეთის თესვა შეეძლოს. სოფლის მამასახლისი ისეთივე გაუნათლებელი კაცია, როგორიც სხვა გლეხია, და სრულიად იკარგება ამ გვარ საქმეებში; ყოველთვის უსმენს რჩევას და თითონაც ეკითხება სოფლის მწერალს. ვინც იცის, საზოგადოდ, რა გვარი ხალხი იჭერს ხშირად სოფლის მწერლის ადგილს, ადვილად მიხვდება, რომ ამ გვარ მრჩეველისაგან არაფითარი სარგებლობა არ გამოვა. სოფლის მწერალი აკეთებს საქმეებს ისე, როგორც თითონ ჰსურს — მამასახლისი, წერა-კითხვის არმცოდნე, მხოლოდ ბეჭედს ასვამს იმ ქაღალდებს, რომელსაც მწერალი მიაწვდის. მოვა თუ არა სარევიზიოდ უმაღლესი მთავრობა სოფლის სასამართლოში, მწერალი მაშინვე განზედ გადგება, მე მხოლოდ მწერალი გახლავარ და რასაც მამასახლისი მიბრძანებს, იმას ვაკეთებო. ცხადია, რომ მამასახლისმა, როგორც პატრონმა, უფროსმა მთელის სასამართლოსამ, უნდა აგოს პასუხი ყველა უწესოებისათვის. საბრალო მამასახლისი ხშირად ისჯება იმიტომ, რომ არა ერთხელ მოუტყუებია და კისერზე გადუგდია სოფლის მოხერხებულსა და ოინებში გაოსტატებულს მწერალს. ცხადია, რომ სოფლის მწერალი ყოფილა თავი და თავი მომქმედი ყველა იმ საქმისა, რაც შეეხება გლეხების თვით-მართველობას სოფელში. ამას თვით გლეხებიც ჰგრძნობენ და უფრო მოწიწებით ექცევიან მწერალს, ვიდრე სხვა სოფლის მოხელეებს. ხშირად შეინიშნება ისიც, რომ სოფლის მოხელენი მფარველობას უწევენ იმ გვარ მწერლებს, რომელნიც შველიან და ეხმარებიან ხალხის გაფცქვნაში. მაგალითი ამისი ბევრია, იმდენად ბევრი, რომ არ შეიძლება ერთი მაინც არ გაეგონოს კაცს.

⁂ „კავკასიის სამკურნალო საზოგადოების“ ჟურნალ „Медицинскій Сборникъ“-ის მე-50 №-ში და[illegible]ერ-კავკასიის ზოგიერთ ტომთა ტანადობა“. ამ წერილში ავტორს მოჰყავს სხვა-და-სხვა ცნობა შესახებ ამიერ-კავკასიის ხალხთა შესწავლისა. ამ ქვეყანაში ნაპოვნ ისტორიის წინა დროის ადამიანის ქალას პირველად ყურადღება მიაქცია ბაიერნმაო. ექიმის სცეპურას დახმარებით ბაიერნმა აღწერა სამთავისში ნაპოვნი ქალანი კაცთა. 1887—1888 წწ. გამოჩენილმა მეცნიერმა ტანრმა თავის თხზულებაში ჩაურთო აღწერა: სამთავისში ნაპოვნ 10 ქალასი, მარიენფელდში ნაპოვნ 4 ქალასი აწინდელ ქართველებისა, 7 ქალასი 1 სომხისა, 37 აფხაზისა და სხ. შანტრის წიგნში მოყვანილია ქალათა მაჩვენებელი (ზომა), ცხვირის მაჩვენებელი და რიცხვი გაზომილთა. ამ სიიდგანა სჩანს, რომ 6 სპარსელის ქალას მაჩვენებელი აღმოჩენილა 76,64 და ცხვირისა 70,5, ხოლო 4 გურულთა 80.49 და 74,8, ოსთა 11 კაცის ქალათა მაჩვენებელი 80,75 და ცხვირისა 74,2, იმერთა 4 კაცისა 82,95 და 66,7, აფხაზთა 4 კაცისა 83,00 და 66,6, ქურთთა 12 კაცისა 83,00 და 64,4, მეგრელთა 12 კაცისა 83,22 და 67,9, ოსთა 4 კაცისა 84,78 და 66,00, ტფილისის სომეხთა 25 კაცისა 85,17 და 63,5 თურქმენთა 4 კაცისა 85,56 და 72,5, ქართველთა 7 კაცისა 85,85 და 69,6, ლაზთა 27 კაცისა 87,48 და 64,4.

თვით პანტიუხოვის გამოკვლევით სჩანს, რომ ყველაზე დაბალის ტანისანი არიან დაღესტნისა და თერგის ურიანი, სულ 36—37 გოჯისანი ანუ 1616 მილლიმეტრი. მხოლოდ ერთი ურია აღმოჩენილა, საბა ჯიჯავაძე, რომელიც თურმე 41 გოჯის სიმაღლისა იყო. ყოველ მხრის სომხებს ერთ ნაირი სიმაღლე არა აქვთ. ყველაზე დაბალი სომეხი აღმოჩენილა ახალციხის მხარეს—1612—1620 მილლიმეტრი. აგრეთვე ქართველების ტანადობაც ყველგან ერთ ნაირი არ არის. ახალციხის მხრის სოფელ საროში 6 კაცი გამოუკვლევიათ და მათი სიმაღლე 1700 მილ. აღმოჩე[illegible] 1644 მილ., საშუალოდ-კი 1649 მილლიმ., თუშთა სიმაღლე 1672, ფშავთა 1683, ხევსურთა 1700, გურულთა 1645, მეგრელთა 1646, რაჭა-შორაპნელთა 1671 და სვანთა 1695; საშუალო რიცხვით-კი 37,21 გოჯი ანუ 1657 მილიმეტრი.

⁂ ევლახი: ამიერ-კავკასიის რკინის გზა უმეტეს ნაწილად იმისთანა ადგილებშია გაყვანილი, საცა იცის ხშირი ავადმყოფობა და მეტადრე ციებ-ცხელება. ამ გვარი ადგილებია, მაგალითებრ, უჯარი, პოილი, ევლახი, ყარაიაზი, აჯი-ქაბული და სხ. ამ ადგილების ჰავა ფრიად მავნებელია ჯანმრთელობისათვის. ამას გარდა ამ ადგილებში ზაფხულობით ჩნდება კოღო ისე მრავლად, რომ არა თუ კაცს, არამედ სხვა პირუტყვთაც მათგან მოსვენება არა აქვთ. ხანდახან ისე მოხდება, რომ ხსენებულ სადგურებზე რკინის გზის ყველა მოსამსახურენი ერთად ავად ხდებიან. თუ რაოდენად მავნებელია ეს ადგილები ჯან-მრთელობისათვის, სჩანს იქიდგან, რომ 1888 წელს ბათუმ-ტფილის-ბაქოს რკინის გზის სამკურნალოებში იყო 66,965 ავადმყოფი და მათ შორის მარტო ციებ-ცხელებით 41,067 კაცი. ამავე წელიწადს დაიხარჯა შვიდი ფუთი ქინაქინა.

⁂ სოფ. გართაშენი (ნუხის მაზრა): ჩვენის მაზრის მომიჯნავე არეშის მაზრაში გაჩნდა კალია, რომლის გასაწყვეტ-გასაქლეტად გაიყვანეს დიდძალი ხალხი ჩვენის მაზრიდგანაც. თუმცა ხალხი ერთგულად ებრძვის მტერს, მაგრამ მაინც კალიას ერთიანად ვერ გასწყვეტენ. მალე კალია დაფრთიანდება და მაშინ მასთან ბრძოლა ყოვლად შეუძლებელი იქნება. ამ ბრძოლის დროს ძლიერი წვიმები და ცივი დღეები იყო. კალიის გამოჩეკა და გაძლიერება რამდენადმე შეფერხდა და შესუსტდა. წვიმებმა უდროოდ დაგვალულ ნათესებს არგო, მაგრამ წვიმები და ცივი ამინდი კეთილად-კი არ იმოქმედებს აბრეშუმის ჭიაზედ.

⁂ მოსკოვი: 24 აპრილს იყო ერნესტო როსსის ბენეფისი. საზოგადოება დიდის ამბით გამოეთხოვა ამ გამოჩენილს არტისტს. არტისტმა დიდძალი საჩუქარი მიიღო და სხვათა შორის ერთი ფრიად ძვირფასი საჩუქარი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის თავადის დოლგორუკოვისაგან.

⁂ „Нов. Вр.“ ამბობს, რომ

მხურად იჭერს პირჯვარს) ბატკანს ვარ შეთქმული, იმის სახელის ჭირიმე, ძალიან მიწყალობა!

სოფო. (დაცინვით) ღმერთმა შეიწიროს თქვენი ბატკანი.

თალალა და ბეკა. კარგი, შვილო, ნუ იცი დაჟინება!

არტემა. ნუ უწყრებით, დიდედავ და ბებიავ, ისეთი აბა რა თქო?

თალალა. ნუ იცი, ქალო! (არტემას) რაზე შეუთქვი, შვილო, ბატკანი?

არტემა. პატარობას დედამ მასწავლა, რო თუ გზაში რამე ხიფათი შეგემთხვა, ღვთეება ახსენე და გიშველისო. ერთხელ ჩემმა ხაზეინმა კავკავიდამ ერთ ოსების სოფელში გამგზავნა ვალების ასაკრეფათ. საქმე რო გავათავე, ბინდისას გამოვწიე შინ; უცებ ერთ ხევში მამესმა რაღაც ლაპარაკი. ოსურად ლაპარაკობდნენ. მე სული გავნაბე. ერთი ამბობს: ბიჭო, ეს არტემააო. გავიგე, გასაცარცვველად გამოსულიყვნენ; ეტყობათ, ბევრნი იყვნენ, თორემ არ დავემალავებოდი! მიუშვი ცხენს და გავაჭენე; ისინიც დამედევნენ და საცა იყო დამეწეოდნენ! მამაგონდა დედა: ღვთეებავ პირიღვთისაო, მიხსენ, ბატკანი ჩემზე იყოს-მეთქი, და ამოვკარ რაც ძალი და ღონე მქონდა! ამ დროს, უცებ რაღა, ასე გონია ციდამ ჩამოცვივდნენო, გამოჩნდნენ ვიღაც ცხენოსნები. სიცოცხლე გაქვს, მალე დააფთხეს ის რაზბონიკები! ვენაცვალე იმის მადლს!

თალალა. (პირჯვარს იწერს) ვენაცვალე იმის ძალსა და სახელს!

ბეკა. დიდი მოწყალეა! ამბობენ, ეგ ღვთეების ხატი მიწაში იპოვესო. მერე იცით როგორა? ღვთეების ღვდელს თურმე ყოველ ღამე ეცხადებოდა და ეუბნებოდა, ამა-და-ამ ალაგასა ვარ და ამამიღეო. ღვდელს თურმე შეშინებოდა, ენა ჩავარდნოდა. მერე ანიშნა, ამოთხარეთო, და როცა ამაიღეს, ენა გაეხსნა. მერე ამბობენ, ხელით ნახატი ხო არ არიო, პირდაპირ ციდამ არი ჩამოსულიო!

თალალა. ღვთეებავ, პირო ღვთისაო, შენ შემინახე ჩემი სოფო.

სოფო. სოფოს არა უჭირს-რა! ისა სჯობია, რო ყველა ბებერ დედაკაცების მოგონილი ზღაპრები მართალი არ გეგონოს!

ბეკა. ნუ იტყვი, შვილო, ნუ იტყვი! წინათ ვანომაც მაგრე იცოდა. აი ყური დამიგდე, რა გიამბო: ერთხელ, ჯერ პატარა იყო, დაძინებისას ლოცვა არა თქო და ღამე მაჯლაჯუნა დასწოლოდა. მეორე დღეს შეშმიში არ გამიხდა! აქეთ ვეცით, იქით ვეცით, ვერა უშველეთ-რა. მერე ვაკითხვინე და მკითხავმა მითხრა, სანთლები შამაავლე და სამი ღამე თელეთს უთიეო. სანთლები შამოვავლე და, ვენაცვალე იმის მადლს, მამირჩა. მერე, ქალო, რო გენახათ, ხუთი თითი ლოყაზე ეტყობოდა მეორე დღეს, ისე ძალიან გეერტყა! ნუ იტყვი, შვილო, გამოუცდელი ხარ!

თალალა (შეშინებული). შვილო, პირჯვარი გადაიწერე, გენაცვა, და საღამოზე ლოცვა თქვი!

სოფო. საქმე არა გაქვს!

თალალა (ტირილით ხმაში). შვილო, ჩემი ერთად-ერთი ნუგეში ხარ, გენაცვა, ემანდ ღმერთი არ გაგვირისხდეს!

სოფო. კარგი, დედი! (პირჯვარს იწერს) აჰა, ოღონდ ტირილს თავი დაანებე!

არტემა (თავისთავის) ეტყობა გულიც კარგი აქვს. (სოფოს) მერე იცი ლოცვები?

სოფო. მაშ სკოლაში რას გვასწავლიდნენ? ვიცი, რასაკვირველია.

არტემა. აბა ერთი თქვი, ნუ-კი იწყენ!

სოფო. რეერთიც გნებავდეთ: ჰაირ მერ ვორ იერკინსეს, სურფ იელიცი ანუნ ქო, იეკესცე არქაითუნ ქო, იელიცი კამქო, ვორპეს...

არტემა. ეჰ, მაგას რა მადლი აქვს? თალალა, არ გისწავლებია შენი ქალისათვის.

თალალა. ვასწავლე, შვილო, არ ამობს, ყურს არ მიგდებს.

სოფო. მე ქართული ლოცვები არ ვიცი, არც საჭიროა; სომეხი ვარ, სომხური უნდა ვიცოდე.

არტემა. სწორედ პაპიშენის ქვაზედაც სომხურად აწერია, აი!

სოფო. (იქით) ეჰ, რა ველაპარაკო! (დაცინვით არტემას) მაშ აბა ერთი მასწავლეთ ლოცვა.

არტემა. გასწავლოთ? ძაან კარგი! როცა იძინებდე, სამჯერ უნდა თქო; თელავში ვინ არ იცის, დედაჩემმა პატარაობითვე მასწავლა!

თალალა. დავწვები - დამეძინება? იცის, პატარაობას ვასწავლე. მანამ სომხის სკოლაში შაიდოდა, ყოველ საღამოს ამობდა, მერე-კი რაღაც გადირია.

სოფო. გადავირიე-კი არა, მაგისთანა ბებერ დედაკაცების მოგონილი ლოცვები ღმერთსა სწყინს.

ბეკა. კარგი, ქალო! აბა, არტემ, თქვი; მინდა გავიგო, სწორედ იცი?

არტემა. ვიცი მაშ, ყოველ საღამოს ვამობ: დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი მხარ-მარცხნივ დამესვენება; ჯვარი მწყალობს ჯვარცმული, ვერას მაცდენს მაცდური, მწყალობს წმინდა გიორგი, ჯვარი პატიოსანი; მე ქრისტესი ვარ, ქრისტე ჩემია, ქრისტეს ბეჭდითა შაბეჭდული ვარ. ოთხო თავო სახარებავ, მათე, მარკოზა, ივანე და ლუკავ, შენ დამწერე შენი წყალობის ჯვარი! სწორეა, არა?

ბეკა. მა-ა! ღმერთი ყოველთვის შენკენ იქნება შენის ღვთისნიერობისათვის.

არტემა. დედი, ძალიანაც ნუ მაქებ, დავთრები არ ამირიო.

სოფო. წიგნის კითხვა გიყვართ?

არტემა. მაშ! გივიშვილის ლექსები სულ ზეპირად ვიცი. აი თუნდ ახალმოდნის ქალებისა: „ახალ მოდნის ქალებსა ვინ არ შაიყვარებსა“... ხო გაგეგება?

სოფო. გამიგია. ვანოსაც უყვარს ეგ ლექსები.

თალალა. შვილო სოფო, დაგვიგვიანდება. აბა, არტემ, გასინჯე რომელი საათია?

არტემა (ამაიღებს საათს). საცაა შუადღეს ჩამოჰკრავენ.

თალალა (საჩქაროდ წამოდგება). ადე, შვილო, წავიდეთ შინ, თორემ აკოფას ჩვენს ლოდინში თვალი და გული გადაელევა.

ბეკა. დარჩით რა არი?

თალალა. არა, ქალო, რო შეიძ-

ცამეტს მაისს შესრულდება ორმოცდა-ათი წელიწადი, რაც ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის ორდინარული და დამსახურებული პროფესორი, დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი, მსახურობს. პატივცემული პროფესორი ოც-და-ათის წლის განმავლობაში კითხულობდა ქართულის ენის ლექციებს, შემდეგ უნივერსიტეტის კათედრიდგან სწავლა-განათლების სამინისტროს სამსახურში გადავიდა, მაგრამ არც მას შემდეგ დაუნებებია თავი მეცნიერების ღვაწლისათვის: თუმცა უკვე ღრმად მოხუცებული იყო, მაგრამ 1878 წელს მაინც გამოსცა ხელ-მეორედ გადასწორებული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და წრეულსაც ხელ-მეორედვე გამოვიდა მეორე ტომი „ქართულ-რუსულის ლექსიკონისა“, რომელიც უკვე 1878 წ. იყო გამოცემული. ეს ორი გამოცემა მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა დემიდოვის სრულის პრემიით. როდესაც უნივერსიტეტის კათედრა ეჭირა, ბ-ნმა ჩუბინაშვილმა გამოსცა: 1) ქართული გრამატიკა, 2) ქრისტომატია და 1851 წელს აგრეთვე 3) იგავ-არაკთა კრებული, 4) „ვეფხის-ტყაოსანი“, 5) მიწერ-მოწერა ქართველ მეფეთა შორის და 6) ძველ კაპადოკიის ტომთა ეტნოგრაფია. ამ ნაირად პროფესორმა ჩუბინაშვილმა აღმოუჩინა პეტერბურგის უნივერსიტეტს ყოველ ნაირი წყარო და საშუალება ქართულის ენის შესწავლისა. იმისი აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო სტუდენტებითა და მას შემდეგ, რაც-კი ის უნივერსიტეტს მოშორდა, აუდიტორიაც დაცალიერდაო.

⁂ ამ თვის 25, პოლიციის მეცხრე ნაწილში, მტკვრის პირის ქუჩაზე, თ. ამილახვრის სახლთან იპოვეს ახლად დაბადებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე რიცხვს მეათე ნაწილის პოლიციელებმა შეიპყრეს რაჭის მაზრის მცხოვრებელი სიმონ ვაჩერიძე და თომა ტუგაშვილი, რომელთაც შუა-ბაზრის ვაჭარ იაგორ ჯოფოვისაგან მოპარული ტყავეულობა მიჰქონდათ. ქურდნი გადასცეს მეხუთე ნაწილის ბოქაულს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ აპრილის 24 პოლიციის მეექვსე ნაწილის ბოქაულის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სამხედრო ტოპოგრაფიის სალიტოგრაფიო განყოფილებაში მყოფ ჯარის-კაცის რომანენკოს მკვლელობაში, რომელიც ანდრიუშევის ფიცრულში იპოვნეს ამას წინად მკვდარი, მონაწილეობა მიუღია იმისსავე ამხანაგს არტემ მატიუჩეკს. მატიუჩეკი გადასცეს სასამართლოს, სადაც 25 აპრილს გამოაცხადა, რომ რომანენკო ხშირად ემდუროდა თავის მარტოობასა და შევიწროებულს ცხოვრებას და ამისათვის თითონვე მოიკლა თავიო.

⁂ ამ თვის 25, ნაშუადღევის სამს საათზე, ობსერვატორიის ბაღთან მტკვარში ბანაობდა დელიჟანის სათადარიგო პოლკის ჯარის-კაცი იოსებ ილურიძე, რომელიც ბანაობის დროს გაუფრთხილებლობის გამო დაირჩო.

◆◆

ნამცეც-ქუცმაცი

შორი ნასტომი არ მოგვივა, ახლა რომ ბათუმსაც გადავავლოთ მკვლევარის თვალი და იქაურს ავ-კარგიანობასაც ავხედ-დავხედოთ. ბათუმი ხომ უმცროსი დაა ფოთისა, თუმცა-კი იმაზედ ტანსრული, იმაზედ შემლებული და კეკლუცი. ეს ახლად შემოერთებული ქალაქი იმითი განსხვავდება თავის სხვა სეხნიებისაგან, რომ, ჯერ ერთი, ორ ნაწილად არის დაყოფილი, ერთს ეწოდება ევროპიული ნაწილი, მეორეს—აზიური, თუმცა-კი ზნე-ჩვეულებით მეორე, თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება პირველს. მეორე განსხვავება ამ ქალაქისა ის არის, რომ ბათუმში ნაგავს მცხოვრებლებზედ მეტი მოქალაქობრივი თავისუფლება აქვს მინიჭებული. იქაური ქუჩა ისე არ იცნობს ცოცხს და ცოცხი კიდევ ქუჩას, როგორც თქვენი უმორჩილესი მონა ჩინეთის ბოღდიხანს. ნებიერად ასვენია ნაგავი ქუჩის სიგრძე-სიგანეზე და არის განცხრომაში. ხანდახან დიდხანს წვიმით მოღალულ-მოწყენილს გული გადაელევა, შეფუნდრუკებას მოიწადინებს და შავის ზღვის სანაპიროდგან წამოსულს ქარს გაეთამაშება, აჰყვება, აედევნება, ჰაერში მოინდომებს პროწიალსა და ცეკვობას. აიშლება ქუჩებში ისეთი კორიანტელი, რომ ცხრა-თვალი მზე აღარა სჩანს, ჩამობნელდება ხოლმე მთელი ქალაქი, ნაგავი-კი დაფორთხალებს დედამიწას ზემოდ, თავ-გასული ხან რომელს კაცს გადაეკვრება თავზედ, ხან რომელს მანდილოსანს დაედება მხრებზედ. ბათუმში ნაგავსა და მკვიდრს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ქუჩაში ერთს საათსაც არ აძლევენ კაცს გაშოტვით წოლის ნებას, მაშინვე პოლიციის ჯურღმულსა შინა ბნელსა უკრავენ ხოლმე თავს, და ნაგავს-კი სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, არავინა ჰყავს დამშლელი, თუნდა მთელს ქალაქს დაეპატრონოს და ისე ამოავსოს იქაურობა, რომ ორ-სართულიან სახლის ბანები დედამიწას გაუთანასწოროს. საცა სამართალია, იქაურის ქუჩების მტვერს ნაგავი არ უნდა ერქვას, რადგანაც ამ სიტყვაში ისიც იგულისხმება, ვითომ და უკვე დაგვილია, მიგვილი, ცოცხი აქვს მოხვედრილიო. ჩემის აზრით, უფრო სწორედ იქნება, უგავი რომ ვუწოდოთ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მისი უაღმატებულესობა ბ-ნი უგავი, რადგან შეიძლება ბათუმელთაგან განებივრებულმა ჩვენი კადნიერება იუცხოვოს და სადიფამაციოდ გაგვიხადოს საქმე. მაშ ნაგავი, თუ უგავი?.. მაგრამ კმარა, ამის გამოკვლევა, ყოველ მხრივ გამოწვრილვა და განხილვა ფილოლოგებს დავანებოთ და ჩვენ-კი ისევ ბათუმს დავუბრუნდეთ.

ამ უგავს ქალაქში ბინადრობს ამ ჟამად ჩვენის ქალაქის ცირკის პატრონი თეთრ-ყირმიზი ტომსონი თავისის ერთის გრძელ-ეშვებიანისა და ექვსის უეშვო, ხოლო მოზრდილ ჩიჩახვ-ხორთუმიანის სპილოთი. მოგეხსენებათ, რომ ტომსონსავე ჰყავდა სხვათა შორის ერთი ლამაზი მოთამაშე ქალი, რომელიც ფრთოსან კაკადოებს ისე ემასლაათ-ებაასებოდა, როგორც მთავარ-სარდალი ჯარის-კაცებს. იმავ უგავში სცხოვრობს აგრეთვე ერთი ტფილისიდგან გადასახლებული უშიშარი და გულ-მართალი რაინდი თავისის შესაფერის ტფილისიდგანვე გადასახლებულის სანჩო-პანსოთი. ეს რაინდია თავის სანჩო-პანსოთი ბათუმში ევროპის განათლების წარმომადგენელი და ცირკის ქალ-კაცისა და სპილო-კაკადოს დაცვა დაფარვაც, სხვათა შორის, იმასა აქვს მინდობილი. ამას წინად გამოიღვიძეს ბათუმელებმა და საშინელი სასოწარკვეთილების ხმა ესმათ. გამოცვივდნენ ქუდ-მოგლეჯილები გარეთ და მხოლოდ მაშინ დაუწყნარდ დაუმშვიდდათ გული: უგავი ისევ თავისსავე ალაგას ესვენა ნებიერად და არავის შეეხო მისთვის ხელი. მაშ რა მოხდა? შემდეგ შეიტყეს, რომ ფრთოსან კაკადოთა წინამძღოლი ქალი სადღაც მიჩქმალულიყო, ბევრი ეძებნათ და ვერსად ეპოვნათ. გავარდა ხმა, რომ აჭარლებს მოუტაცნიათო, მაგრამ აპა, არ დაგცვივდეს ულვაშის თმა: აჭარლებს სიზმრადაც არ გაუფიქრიათ მეკაკადოე ქალის გატაცება! ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმ უშიშარსა და გულმართალს რაინდს ადრევე ეზრუნა, წაეყვანა ქალი და ყველას ჩუმად თავის სანჩო-პანსოსთან დაებინავებინა. ჰყავდა ასე ორ-სამს კვირას დაფარული და შემდეგ გარეთ გამოსვლის ნებაც მისცა. ქალის დედ-მამა ერთს ალიაქოთშია და ყადთან აპირობს მისვლას, იქაურობა დრტვინავს და ჩოჩქოლობს და, ასე წარმოიდგინეთ, ათდან-ბაბადან გასვენებითა და განცხრომით მყოფი უგავიც-კი ამ ამბით ჯავრისავით წამოიშალა ფეხზედ და იქაურობა სულ ერთიან გაანისლ-ბუნდოვანა, მაგრამ დევ-გმირი რაინდი და იმისი სანჩო-პანსო-კი ყურსაც არ აპარტყუნებენ, არხეინად იწიწკნიან ულვაშის ბოლოებს და ფარ-ხმალსა და ხანჯალ-ჩაჩქანზედ იცქირებიან მუქარით. დიაღ, მეცხვარემ, ალბად მგლის შიშით თუ, თითონვე გამოხრა თავისი ბატკნები... რა უნდა ჰქმნან ბათუმელებმა...

ამ ჟამად კაცის მინდობა
ბათუმელთაგან ძნელია:
მან სხვის დაფარვა იტვირთა,
საქმით არა სჩანს მქნელია;
თუმც ყველას მშვიდი ეგონა,—
ის ხერხთა მომფინელია,
მუცლის ლხინად და ნადიმად
უჩანს საქმენი ბნელია!

დუმიკა

◆◆

უცხოეთი

საფრანგეთი. საფრანგეთის ყურადღება საქალაქო არჩევნებს გარდა მიქცეულია ამ ჟამად იმაზე, რომ 11 კაცია კანდიდატი აკადემიკოსობისა და უკვდავთა შორის ჩაწერისა ოჟიეს მაგიერ. ბევრს ამ კანდიტატებში არავინ არ იცნობს: უცნობნი არიან, უსახელონი, უჩინარნი და მუდმივ კანდიტატებად ითვლებიან. ზოგს კიდევ სახელი აქვთ მხოლოდ თავის განსაკუთრებულს წრეში, ახლო ნაცნობთა და პატივის-მცემელთა შორის. ზოგნი-კი ყველასაგან ცნობილნი და გამოჩენილნი არიან. ამათ რიცხვში პირველია, რასაკვირველია, ზოლა, მერე ანრი ბეკი, გამოჩენილი დრამატურგი-რეალისტი, ფერდინანდ ფაბრი, კათოლიკეთა სამღვდელოების აღმწერელი, პიერ ლოტი, მოთხრობებისა და რომანების მწერალი (შესანიშნავია იმისი რომანი, რომელშიაც მეთევზეთა ცხოვრებაა აღწერილი), ანდრე ტერიე, ფერდინანდ ბრიუნეტი [illegible] კრიტიკოსი და სეკრეტარი Revie des deux mondes-ის რედაქციისა, და სხვანი. ერთის სიტყვით, კანდიტატები ბევრია, კანდიტატები ღირსეულნი, ღვაწლ მოსულნი, შესანიშნავნი, და კიდეც ეგ არის მიზეზი, რომ აკადემია დიდს გაჭირებაშია და ვერ გადუწყვეტია, რომელი ირჩიოს მათში და რომელს მისცეს უმრავლესობამ თავისი 20 თეთრი კენჭი. პიერ ლოტიზე ამბობენ თურმე: კარგი, ის რომ აირჩიოთ, უბრალო აფიცერი ზღვისა, და რომ უფროსმა დაუწყოს მტრობა რაიმე მიზეზის გამო, ჩაუდგეს ჯიბრში და სასტიკად მოექცეს მარტო იმიტომ, შენ აკადემიკოსი ხარო, ამით ხომ გაწბილდება ღირსება აკადემიკოსობისაო. ზოლას კარგა წაუყვანია თავისი საქმეები. დაუვლია თითქმის ყველა აკადემიკოსნი დარბაზობით, მოულაპარაკნია ყველასთან და ამ ლაპარაკით ისე გაუგიჟებია და მოუხიბლავს ყველანი, რომ პატივცემულთ უკვდავთ სულ დაჰპირებიათ

ლებოდეს, განა არ დავრჩებოდი? (ყველანი წამოიწევიან).

ბეკა. გადმაიარეთ ხოლმე მაინც, რა არი ასე ძვირობა.

თალალა. შენ-კი ღმერთი გიწყენს, რო გენახო ხოლმე? ამ კვირია გადმაიარე და წამაასხი შენი წვრილ ფეხობა.

ბეკა. მაშ კვირას მოვალთ. ვანოსა და ნუშოსაც ვკითხოთ, აგერ ისინიც მოდიან?

გამოსვლა XIII

იგინივე და ვანო და ნუშო

(წინ ნუშო მოდის და უკან ვანო მოსდევს მარჯვენა კარებიდგან. დაღონებულები არიან)

ბეკა. კვირას გეპატიჟებიან; რას იტყვით?

ნუშო. მოვალთ უეჭველად. შენ რას იტყვი, ვანო?

ვანო. ჰა? ჰო, მოვალთ, მოვალთ უეჭველად!

თალალა. მაშ უეჭველათ გელით. მშვიდობით, ნახვამდის! (ყველას ხელს ართმევს და არტემას უცინის) აი, შე-შე!..

სოფო. (ყველას ეთხოვება, ნუშოს) რათა ხარ დაღონებული, ქმარი გაგიჯავრდა?

ნუშო. (ძალათი იღიმება) რას ამობ, ქალო, თავის დღეში გამჯავრებია?

სოფო. ვიცი, ვიცი! კვირას უეჭველათ მოდი.

ნუშო. მოვალ, მოვალ! (გადიან ყველანი, ვანოსა და არტემას გარდა).

გამოსვლა XIV

ვანო და არტემა.

არტემა. შენი სულის ჭირიმე, რა კარგი რამ არი ეს სოფიკო აკოფოვნა! ნეტავი მაგის თავი მაჭამა, სხვა არა მინდა-რა! შენ, ვანო, რას იტყვი? ბიჭო, რასა შვრები, ვაიმე, ვაიმე! კაცმა რო ყველა ვირის ტლინკს ყური უგდოს, ეგ სად წავა? აი მალე შუამთობა იქნება, დავითვერნეთ და ერთი კარგად დავზილოთ! ძმა-ბიჭებიც მოგვეშველებიან! მწვანე იაგორა ერთი ავი სული ვინმეა. ტყუილად-კი არ არი ღვდლის შვილი: ღვდლის ცოლი ეშმაკის დედააო!

ვანო. მაშ მე იმას შევარჩინო? შენ გაიგე, რა თქო? ნუშოს სახელს ახსენებს ის ყურუმსალი, ის... ის... არა, ეხლავ წავალ, თავ-პირს დაუმტვრევ! (მიდის კარებისაკენ, არტემა იჭერს).

არტემა. ვანო, შენი ჭირიმე, დამშვიდდი! მე მამანდე. თუ ხვალვე საქვეყნოდ არა ვცემო, მაშინ პირში ჩამაფურთხე! დაწყნარდი, საცაა ნუშო შამოვა, არ შეგატყოს, თორე გული გაუსკდება!

ვანო (ჩამოჯდება ტახტზედ) სიკვდილის პირს რო ვიყო, არ შევარჩენ, რა გამოვიდა!

არტემა. ღირსია, ღირსი! შენ-კი თავი დაანებე. მე მამანდე—მე ვიცი და იმან. შენ ნუშოს პატრონი ხარ, ემანდ ვირის აბანოში არ ამოგაყოფინონ თავი! მაშ მე წავალ, დოშს მოვიტან, დოშია რო, თითებს დაიკვნეტ! უთხარ, სუფრა გაშალონ, ეხლავ მოვალ (გადის).

გამოსვლა XV

ვანო მარტო.

ვანო. (ადგება) რო არ შეიძლება, რა მითხრა იმ მწვანემ! ჩემ პატიოსნებას რას ეხები, ღმერთმა შენი ნუ მამცაო. ქვეყანას ყური დაუგდე, მტრედი ყოველთვის თეთრი როდიაო! ნუშოზე ამბობს რაღა, ნუშოზე! არტემ, შე წყეულო, რათ იყავ იქა, რატომ თავი არ გაუხეთქე მე იმას? ნუშო! წმინდა ანგელოზო! ეს ერთი კვირაა ვატყობ, ნაცნობები და მუშტარი როგორღაც მიყურებენ, როგორღაც სხვა ნაირად მელაპარაკებიან. ნუშო? ღმერთო ჩემო, ნუშო? არა, არა! მწვანე იაგორ, გცემ, გცემ ისე, რო სახე დანაყულ ბალბას გიგვანდეს! (პირდაპირ ფანჯარაში უყურებს) ეგე, ნუშო მოდის, ჩემი სალოცავი ხატი! იაგორ, როგორ გამიმწარე დღევანდელი დღე, შე წყეულო! (მუთაქაში სახესა სდებს).

გამოსვლა XVI

იგივე და ბეკა

გამოდის შუა კარით.

ბეკა (თავზე ხელს დაადებს) უი ჩემს თვალებს, გენაცვალე, რო შენ ამ ყოფაში გხედავ. რათა ხარ მაგრე, შემატყობინე, აგრემც თავს შამოგევლები? ისეთი რა გითხრა იმ ასპიტმა, რო ასე გაგამწარა?

ვანო (წამოიწევს). არაფერი, დედი, ცოტა გუნებაზე ვერა ვარ. წადი, შენ სუფრა გაშალე, მე ცოტა მოვისვენებ, დაღლილი ვარ. (ისევ ისე დაწვება)

ბეკა. მაისვენე, გენაცვა! (იქით) მაგის თავს რაღაცა რამ ცუდი ამბავია. ღმერთო, შენ იყავ ჩემი ვანოს მფარველი! (გადის მარჯვნივ)

გამოსვლა XVII

ვანო მარტო.

ვანო (ცოტა ხნის შემდეგ წამოიწევს) როგორ ვიტანჯები! ჰო, ერთი კვირაა ვხედამ, როგორღაც სხვა ნაირად მიყურებენ. მუშტარიც ნაკლები მოდის! ნუშოზე ამბობენ, ნუშოზე? ნუშო ხო წმინდა სანთელზე უფრო წმინდაა! ოჰ, ღმერთო, ეს ერთი დღე რა მწარეა!.. მერე... მერე... თავი გამისკდა! არა, არა, ტყუილია!.. მაშ, შემიძლიან გუმანიც-კი ავილო? ღმერთო, ჭკუა შემარჩინე! (ისევ დაწვება, მერე წამოიწევს) მტრედი ყოველთვის თეთრი არ არისო! (წამოვარდება) მწვანე იაგორ, მოგკლავ! ან დამიმტკიცე, რო მართალს ამობ!..

გამოსვლა XVIII

იგივე და ნუშო

საჩქაროდ გამოდის შუა კარებიდგან.

ვანო (მივარდება და ხელს წაავლებს). ნუშოჯან, ერთი რამ უნდა გკითხო! არა, არაფერი, გეხუმრებოდი! (ხელს გაუშვებს)

ნუშო. შენის მუხლების ჭირიმე, მითხარ, რათა ხარ მაგრე? ნუ მტანჯავ, გენაცვალოს ნუშო!

ვანო (ხელს წაავლებს) იცი, რა მითხრა? ჰო! ჩქარა დაიფიცე, რო მთელს ქვეყანას გირჩევნივარ!

ნუშო (ტირილით ხმაში) ვანოჯან, რეებსა მკითხავ? გამაგებინე რა გაწუხებს!

ვანო. არა, დაიფიცე! კაბის კალთებს დაგიკოცნი, დაიფიცე!

ნუშო. შენის მეტი ვინა მყავს ქვეყანაზე, ვანოჯან? უშენოთ ღმერთმა ერთი საათიც ნუ მაცოცხლა!

ვანო. ვიცი, ვიცი! არა, არა! ღმერთი დაიფიცე!.. არა, მამის სული!.. არა, ჩემი სახელი!.. არც ეს!.. ახ, ღმერთო!.. (პირქვე დაწვება მუთაქაზე)

ნუშო. ვანო, მითხარ, რა არი, ვანო? ოჰ, ღმერთო! (ტირის)

(დასასრული პირველ მოქმედებისა)

ან. ბენაშვილი

მისი სანატურალიზმო შეცოდებანი და მზად არიან მიუტევონ.

— ფრანგულს გაზეთებში წარსულს კვირას ბევრი ლაპარაკი ყოფილა არტურ რანკზე, გამბეტას ამხანაგზე, რომელიც ახლა კარგა მოხუცებულია. არტურ რანკე ფრიად ნიჭიერი პუბლიცისტია და მრავალ გვარის ცოდნის კაცი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ძველი გამოცდილი მებრძოლე დემოკრატიის გაძლიერებისათვის. ჯერ სტუდენტად იყო, რომ მეორე რესპუბლიკის დაცვისათვის ჩაერია არეულობაში და ეომებოდა ნაპოლეონის მესამის თავ-გასულობას. იყო ლამბესსა და მერე იქიდამ შვეიცარიაში გადავიდა. როცა პატიება გამოვიდა, ისევ სამშობლოში დაბრუნდა 1859 წელს და ისევ წინააღმდეგობა დაუწყო ნაპოლეონის მთავრობას გაზეთებში წერით. პრუსიისა და საფრანგეთის ომის დროს თანაშემწე იყო გამბეტასი, მერე გაერია კომუნაში, როგორც შუა-კაცი და მომრიგებელი, მაგრამ სასამართლომ მაინც ამისთვის სიკვდილით დასჯა გადუწყვიტა. ახლა კიდევ გაიქცა საზღვარ-გარეთ და იქ უშველა თავს. როცა რესპუბლიკის მომხრე დასმა საბოლოოდ გაიმარჯვა, დაბრუნდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველა საზოგადო საქმეში. დეპუტატადაც იქმნა არჩეული, მაგრამ ორატორობის ნიჭი ვერ გამოიჩინა. სამაგიეროდ რესპუბლიკელნი დიდს პატივსა სცემენ, რადგან მხნეა, გონიერი, იცის გარჩევა და გავება კაცისა და აქვს ის უნარი, რომ რაც უნდა გაჭირვებული ყოფა იყოს, გონებას არ დაჰკარგავს და მიხვდება, როგორ და საიდამ მოევლება საქმეს. პატივსა სცემენ უფრო-კი დიდის საპუბლიცისტო ნიჭისათვის. რანკე სწერს ცოცხალისა და მწარე, შხამიანის ენით. მშვენიერად იცის ყველას წარსული, ვინც პოლიტიკაში ერევა, დიდი მეხსიერება აქვს და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ყველას დიდის მოხერხებით გაჰკრავს ხოლმე, თავის კალამში ჩააგდებს და თავის ქერქში დააყენებს. პირდაპირი კაცია, პირში მთქმელი, მაგრამ ამასთანავე დიდად თავ დაჭერილი, მიხვევ-მოხვევით ლაპარაკი და წერა არ უყვარს; კუდის ქნევა ჭირივით ეჯავრება. რანკე დემოკრატია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ კაცთა კრებულს თუ გინდა უწინამძღვრო, იმასვე უნდა აჰყვე და მიჰყვე კიდეცაო, იმასთან ერთად იაროო, იმისებურად ილაპარაკო და მერე დაანახვო და გააგებინო, რაც არის სანატრელი ქვეყნისათვისაო.

◆◆

დეპეშა

25 აპრილი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გააფრთხილა გაზ. „Москов. Вѣд.", რადგანაც ამ გაზეთმა მე-102 №-ის მეთაურს წერილში ფინლიანდიის დიდის სამთავროს სისხლის-სამართლის ახლად გამოცემულის დებულების განხილვის დროს დიდად უკადრისად მოიხსენია უმაღლესის მთავრობის წარმომადგენელი ამ ქვეყნისა.

„С.-Пет. Вѣд."-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭო მალე განიხილავს მინდვრის ქირნახულის წახდენისა და გაფუჭების წინააღმდეგ მისაღებ ღონისძიებათა პროექტსაო. განზრახვა აქვთ, დამნაშავეს პირველ დანაშაულისათვის ერთის თვით დაპატიმრება გადუწყვიტონ და აგრეთვე ზარალი ერთი-ორად გადაახდევინონ, ხოლო თუ მეორეჯელ ჩაიდინა დანაშაული, დამნაშავე სამის თვის დაპატიმრებით იქმნება დასჯილი და 1 მაისიდგან 1 ოქტომბრამდის ზარალი ერთი-სამად გადახდება. ყანებისა და მინდვრების მეთვალყურედ „ნაფიცი ყარაულები" დაინიშნებიანო.

„Гражд."-ს გაუგონია, რომ მინისტრთა კომიტეტში წევრთა ნახევარი იმ აზრისა იყო, რომ სევასტოპოლი გაკეთდეს ნავთსაყუდლად, და დანარჩენნი-კი ამბობდნენ—ფეოდოსია სჯობიაო.

ბერლინი. საკავშირო საბჭომ დაამტკიცა იმის პროექტი, თუ რამდენი ჯარი უნდა იყოს მშვიდობიანობის დროსაო და აგრეთვე იმისიც, რომ სამხედრო უწყებას კრედიტი უნდა მოემატოსო. ჯარის რიცხვი სულ 486,986 კაცი უნდა იყოს. პირველს ოქტომბერს ჯარში იქნება: 538 ბატალიონი ქვეითი კაცი, 465 ესკადრონი მინდვრის კავალერია, 434 მინდვრის ბატარეია (ამ შემთხვევაშიაც საფრანგეთის მინდვრის ბატარეია 46 ბატარეით მეტი იქნება გერმანიისაზე), 31 ბატარეია ქვეითის არტილლერიისა, 20 პიონერთა ბატალიონი და 21 ტვირთის მზიდველი ბატალიონი. მშვიდობიანობისას ჯარების გამრავლებისათვის გადადებულია $31\frac{1}{2}$ მილიონი, ხოლო ამას გარდა ყოველ წლივ ჯარის ხარჯს 18 მილიონი მარკა მიემატება.

ბერლინი. თავისუფალ მოაზრეთა დასმა რეიხსტაგში წინადადება შეიტანა, რომ, 1885 წელს რომ პურის ბაჟი იყო, ეხლანდელიც იმდენადვე შეამციროთო. გარდა ამისა ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო სხვა-და-სხვა საქონლის-ბაჟი მოისპოს და საზოგადოდ ოჯახში მოსახმარ საქონლის ბაჟიც შემცირდესო, შაქრის მწარმოებლებს პრემიები ნუღარ მიეცემათ და ერთ ნაირი სააქციზო ბაჟი დაედოს სხვა-და-სხვა სპირტეულობასაო.

ლონდონი. მაიორმა ვისმანმა უომრად დაიმორჩილა კილვა. იქაური მცხოვრებლები მაშინვე წავიდნენ იქიდგან, ასე რომ ჯარის ხომალდებიდგან გადმოსვლისათვისაც აღარ მოუცდიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 აპრილი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გარიგებისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	„	7 08
ტფილისის კუპონები . .	— „	„	$141\frac{3}{4}$
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	— „	$107\frac{1}{2}$
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	230
—მეორისა	— „	— „	216
—მესამისა . . .		— „	$217\frac{1}{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „ — „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიკტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

28 დღე შაბათი. ქართველ. წმ. მოციქულთა იასონ და სოსიპატროსი. კათოლ. წმ. ფიდელისა, ვალერისა და ვიტალისა. სომეხ. 28 დღე აღდგომისა. მზე ამოდის 4—45., ჩადის 7—7. ჭეშმარიტი შუადღე 11—56. მთვარე 21 დღისაა.

29 დღე კვირა. ქართველ. წმ ცხრათა მოწამეთა კვიზიკელთა. კათოლ. წმ. იოსებისა, პეტრესი და თეოდოპისა. სომეხ. ჯვარის გამოჩენა. მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. ჭეშმარიტი შუადღე 11—58. მთვარე 22 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. ქართველ. წმ. მოციქულისა იაკობ, ძმისა იოანე მახარებლისა. კათოლ. წმ. ქალწულ-მოწამისა ეკატერინესი. სომეხ. 30 აღდგომის შემდეგ. მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9. ჭეშმარიტი შუადღე 11—56. მთვარე 23 დღისაა.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვეით . . .	10 მ.—კ.	6 თვეით . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50 „	5 „ . . .	5 „ 25 „
10 „ . . .	8 „ 75 „	4 „ . . .	4 „ 70 „
9 „ . . .	8 „ — „	3 „ . . .	3 „ 50 „
8 „ . . .	7 „ 25 „	2 „ . . .	2 „ 50 „
7 „ . . .	6 „ 50 „	1 „ . . .	1 „ 75 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმაელობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ" და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების" მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას" წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი", ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

Доз. ценз. Тифлисъ, 26-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე